

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
აკადემიური საბჭო

მისამართი: 6010, ქ. ბათუმი,
ნინოშვილის ქ., №35

ტელ/ფაქსი: (+995 222) 27 17 87
ელ. ფოსტა: info@bsu.edu.ge

დადგენილება №106

2015 წლის 22 სექტემბერი,
ქ. ბათუმი

„ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფაკულტეტებზე სახელობითი სტიპენდიების შემოღებისა და აუდიტორიებისათვის გამოჩენილ მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა სახელების მინიჭების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2014 წლის 26 სექტემბრის №124-ე დადგენილებაში დამატებების შეტანისა და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელობითი სტიპენდიების დაწესების თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-8 მუხლისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის, პროფ. მარინა გიორგაძის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დაადგინა:

1. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაწესდეს საუნივერსიტეტო სახელობითი სტიპენდიები:

- ა) შოთა რუსთაველის სახელობის სტიპენდია;
- ბ) ხესენ ნაკაიძის სახელობის სტიპენდია;

2. შევიდეს დამატება „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფაკულტეტებზე სახელობითი სტიპენდიების შემოღებისა და აუდიტორიებისათვის გამოჩენილ მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა სახელების მინიჭების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2014 წლის 26 სექტემბრის №124-ე დადგენილების დანართში №1, კერძოდ, განათლების ფაკულტეტს დაემატოს მე-2 პუნქტი შემდეგი რედაქციით:

„გულო ალა კაიკაციშვილის სახელობის;“

3. საუნივერსიტეტო სახელობითი სტიპენდიის მოსაპოვებლად კონკურსი გამოცხადდეს ბსუ-ს სტიპენდიების გაცემის წესის შესაბამისად.

4. დადგენილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს სხდომის თავმჯდომარე,
პროფესორი

გურამ ჩაგანავა